სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი
60309950653322

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N221060901

რეგისტრაციის თარიღი

18.08.2022 წ

ნოტარიუსი: თამარ პოლიკაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, გიორგი ათონელის ქ. #31
ტელეფონი: 599288252

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge
ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

საქართველო

ორი ათას ოცდაორი წლის თვრამეტ აგვისტოს, მე, საქართველოს ნოტარიუსს თამარ პოლიკაშვილს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, გიორგი ათონელის ქ. №31, მომმართა: გია ბაძრაძემ, რომორც სს „საძყალპროექტი"ს დირექტორმა (ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, ამონაწერის მომზადების თარიღი 28/09/2021წ. საიდენტიფიკაციო №204853943); მან განაცხადა, რომ სურს მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება.

მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამ. მოწმობით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად გია ბაძრაძემ (დაბ. 10/01/1962წ. პ№01017011408, მისამართი: ქ. თბილისი, ჟოზულეთის ქუჩა №23) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემოწმებულია მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა; შემდეგ შევადგინე წინამდებარე მინდობილობა, რომელიც მოიწონა მან, განაცხადა, რომ წინამდებარე მინდობილობა ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი მინდობილობას.

მინდობილობა

„მინდობილობის გამცემი": სს „საძყალპროექტი" ს/კ№204853943 წარმოდგენილი მისი დირექტორის გია ბაძრაძის (დაბ. 10/01/1962წ. პ№01017011408) სახით

"მინდობილობის მიმღებს": ალექსანდრე კორკოტაშვილს (პ№01030051890)

ანიჭებს შემდეგ უფლებამოსილებას:

წარმოადგინოს და დაიცვას "მინდობილობის გამცემი"-ს ინტერესები სს „საძყალპროექტი" ს/კ№204853943 კუთვნილ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით, კერძოდ უძრავ ქონებაზე მდებარე: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №74/11 (სააქ. კოდი№ 01.14.11.001.001) საჩრდილოგლის მოწყობასთან დაკავშირებით; ყოველივე ზ/აღნიშნულთან დაკავშირებით „მინდობილობის მიმღები" უფლებამოსილია იქცეს „მინდობილობის გამცემის" წარმომადგენელი ადგილობრივი მმართველობის (და თვითმმართველობის) ორგანოებში, მერიაში, ასევე მათ დაქვემდებარებაში არსებულ ყველა სამსახურში ან/და კომისიაში, არქიტექტურის სამსახურში, უფლებამოსილია მიმართოს განცხადებით ზემო აღნიშნულ ორგანოებს (ან/და დაწესებულებებს), მიიღოს მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში, მიიღოს (გამოითხოვოს) ან/და ჩააბაროს ნებისმიერი სახის ინფორმაცია ან/ და საბუთი (მათ შორის ნებისმიერი სახის პროექტი) მიიღოს ნებისმიერი სახის ნებართვა), შეიტანოს ცვლილებები მათში ან/და გააბრძელოს მათი ვადები, ხელი მოაწეროს ნებისმიერ სათანადო საბუთს.

ყოველივე ზ/აღნიშნულთან დაკავშირებით შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა ის პროცედურა და მოქმედება, რაც აუცილებელია „მინდობილობის გამცემის" მიერ მინიჭებული უფლებამოსილების სრულყოფილად განხორციელებისათვის.

- მინდობილობა გაცემულია ერთი წლის ვადით და ძალაშია ორიათას ოცდასამი წლის თვრამეტი აგვისტოს ჩათვლით.

წინამდებარე მინდობილობა შედგენილია **ქართულ** ენაზე **სამ** თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ინახება საქართველოს ნოტარიუსის თ. პოლიკაშვილის სანოტარო არქივში, ხოლო ორი გადაეცა „მინდობილობის გამცემს".

გადახდილია სანოტარო მომსახურეობის საზღაური 30,00 /ოცდაათი/ ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წელი, დადგენილება №507) 31-ე მუხლისა. აგრეთვე დღგ: (5,40) ხუთი ლარი და ორმოცი თეთრი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 166-ე მუხლისა. პლიუს: ხუთი ლარი ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წელი, დადგენილება №507) 39-ე მუხლისა.სულ (40,40) ორმოცი ლარი და ორმოცი თეთრი.

სს „საძყალპროექტი" ს/კ№204853943
დირექტორი: გია ბაძრაძე

ნოტარიუსი: თ. პოლიკაშვილი

საქართველო. ნოტარიუსი თამარ პოლიკაშვილი. GEORGIA. NOTARY TAMAR POLIKASHVILI. 01020004795